ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №109

2015 წლის 22 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი;

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №4), 2015 წლის 23 სექტემრიდან 2015 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, უქმე დღეების გარდა;

3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (C.V);

გ) ბსუ–ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური თანამდებობის (პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის) მითითებით.

დ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული იქნეს (კონკურსი ჩატარდეს) 2015 წლის 15 ოქტომბერს;

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ–ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე;

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**